საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარინე ცუცქირიძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ნებიერიძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ტ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.06.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 055/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. რ.-ის /სიითიN/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. რ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2023 წლის 9 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ტ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. რ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომჩივანის განმარტებით, სსიპ „საქართვლოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 09.12.2019 წელს ადვოკატ მ. რ.-ის მიმართ საჩივრით მიმართა ლ. ბ.-მა (დისციპლინური საქმე N---), აღნიშნულ საქმეზე ეთიკის კომისიის 07.10.2021 წლის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური წარმოება საჩივრის ავტორის გარდაცვალების გამო. თ. ტ.-ის განმარტებით, ის წარმოადგენს გარდაცვლილი ლ. ბ.-ის ანდერძისმიერ მემკვიდრეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.05.2023 წლის განჩინების საფუძველზე (საქმე N---) ცნობილია გარდაცვლილი ლ. ბ.-ის უფლებამონაცვლედ. მომჩივანი განმარტავს, რომ

ადვოკატმა მ. რ.-მა ისარგებლა 84 წლის მოხუცებულის - ლ. ბ.-ის უსინათლობითა და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობით, თავდაპირველად, 2019 წლის 25 თებერვალს ხელი მოაწერინა „საადვოკატო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულებაზე, ხოლო სამი დღის შემდეგ, მოტყუებით წაიყვანა მის ნაცნობ ნოტარიუსთან და მოტყუებით მოაწერინა ხელი ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რის შემდეგაც ერთ საათში მიმართა სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს და მოითხოვა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. საჩივრის ავტორის განმარტებით, ხელშეკრულებების შინაარსი ლ. ბ.-ისათვის უცნობი იყო.

1.3 მომჩივანის განმარტებით, „საადვოკატო მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულება შედგენილი იყო ე. წ. 12-იანი შრიფტით, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულება 10-იანი შრიფტით, რასაც ვერაფრით წაიკითხავდა ისეთი მხედველობის მქონე ადამიანი, როგორიც ლ. ბ. იყო. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა მ. რ. მოერიდა იუსტიციის სახლში ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას და მან ნოტარიუსს მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობა დაადასტურებინა. თ. ტ.-ის განმარტებით, მას შემდეგ, რაც ლ. ბ.-მა შეიტყო მ. რ.-ის მიერ ქონების გადაფორმების ფაქტი, მან სამოქალაქო სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას.

1.4 თ. ტ.-ის შუამდგომლობით, აღნიშნულ საქმეს დაერთო დისციპლინური საქმის N--- მასალები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. რ.-მა ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2023 წლის 28 ივნისს, სადაც მიუთითა, რომ თ. ტ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებული და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მან ლამარა ბაღაშვილთან ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა კანონის ნორმებისა და მოთხოვნების სრული დაცვით. ხელშეკრულება გაფორმდა მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე და განცხადება, თითქოს ლ. ბ.-ისათვის უცნობი იყო ხელშეკრულების შინაარსი, არ შეესაბამება სინამდვილეს. ადვოკატის განმარტებით, სინამდვილეს არ შეესაბამება ის ფაქტიც, თითქოს მან ნაცნობ ნოტარიუსთან, მოტყუებით მიიყვანა ლ. ბ.. ნოტარიუსს ლ. ბ. ხელშეკრულების ხელმოწერამდეც ესაუბრა და სწორედ მის ნებას წარმოადგენდა დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმება. ადვოკატის განმარტებით, გარდაცვლილმა ლ. ბ.-მა მის მიმართ საჩივრები წარადგინა არა მხოლოდ სასამართლოსა და ეთიკის კომისიაში, არამედ მიმართა საგამოძიებო ორგანოს და ბრალი დასდო ადვოკატს თაღლითობაში, თუმცა საგამოძიებო ორგანოების მიერ განხორციელებული მოქმედებების შედეგად, არ გამოიკვეთა ადვოკატის ქმედებაში თაღლითობის ნიშნები და გამოძიება შეწყდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ამჟამად მასსა და საჩივრის ავტორს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში (სამოქალაქო საქმე N---), რომლის ფარგლებში ადვოკატმა წარადგინა უტყუარი მტკიცებულებები: აუდიო, ვიდეო და სატელეფონო ჩანაწერები, რაც ადასტურებს, რომ საჩივრის ავტორის მიერ აღწერილი გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს და მომჩივანი თ. ტ.-ის საჩივრები, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოში, ისე სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიაში ემსახურება ადვოკატის დისკრედიტაციას.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი მ. რ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო, არასრულწლოვანთა უფლებები, ბავშვთა მართლმსაჯულება.

3.2 თ. ტ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 9 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და გადაწყვიტა, რომ მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1. საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მ. რ.-მა ისარგებლა გარდაცვლილი ლ. ბ.-ის უმწეო მდგომარეობით, მოტყუებით მოაწერინა ხელი „საადვოკატო მომსახურების შესახებ" ხელშეკრულებისა და უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რის საფუძველზეც მარეგისტრირებელ ორგანოში დაირეგისტრირა საკუთრების უფლება ლ. ბ.-ის კუთვნილ უძრავ ნივთზე.

5.2. განსახილველ შემთხვევაში, თ. ტ.-ის პრეტენზიები ეხება ადვოკატის მიერ არა უშუალოდ მის მიმართ, არამედ გარდაცვლილი ლ. ბ.-ის მიმართ განხორციელებულ მოქმედებებს და მათ შორის არსებულ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას. თ. ტ.-მ ეთიკის კომისიაში საჩივარი წარმოადგინა, როგორც ლ. ბ.-ის ანდერძისმიერმა მემკვიდრემ. თ. ტ.-მ კომისიაში წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 03.05.2023 წლის განჩინება უფლებამონაცვლეობის დადგენის შესახებ (საქმე N---).

5.3. თ. ტ.-ის პრეტენზია ადვოკატ მ. რ.-ის მიმართ ეხება ადვოკატის მიერ ისეთი ვალდებულებების შესრულებას/შესრულებისაგან თავის არიდების საკითხს, რაც გამომდინარეობს ლ. ბ.-სა (კლიენტი) და ადვოკატ მ. რ.-ს შორის არსებული საადვოკატო მომსახურების შესახებ შეთანხმებიდან. კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა

დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში ეთიკის კომისიისთვის საჩივრით მომართვაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა გარდაცვლილი ლ. ბ.. რაც შეეხება ეთიკის კომისიაში უფლებამონაცვლის მიერ საქმისწარმოებას, საპროცესო კოლეგია იზიარებს ეთიკის კომისიის 07.10.2021 წლის გადაწყვეტილების მოტივაციას დისციპლინურ საქმეზე N--- და განმარტავს, რომ დისციპლინურ საქმეში სადავო გარემოებები უშუალოდ უკავშირდება გარდაცვლილი ლ. ბ.-ის მიმართ ადვოკატის მიერ განხორციელებულ სავარაუდო მოქმედებებს და შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით საქმის განსახილველად, მნიშვნელოვანია არსებობდეს თავად საჩივრის ავტორის პოზიცია. კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას განსაკუთრებული ხასიათი გააჩნია. კლიენტი ენდობა ადვოკატს და უმხელს მას ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, რაც შესაძლოა სხვა პიროვნებებისაგან კონფიდენციალურად შეენახა. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაში მნიშვნელოვანია, რომ კლიენტი უთანხმდება ადვოკატს საადვოკატო მომსახურების გაწევაზე და ადვოკატიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ და მხოლოდ კლიენტის წინაშე, რაც მოიცავს საადვოკატო საქმიანობის ეთიკური სტანდარტებით განხორციელების ვალდებულებასაც. მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობის შემდეგ, იგულისხმება, რომ ადვოკატი მოქმედებს კლიენტის დავალებით, კლიენტთან შეთანხმებით და კლიენტის მითითებების შესაბამისად. თავის მხრივ, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მხოლოდ კლიენტია უფლებამოსილი იდავოს ადვოკატის მიერ მის მიმართ ისეთი ეთიკური სტანდარტების დარღვევაზე, როგორებიცაა ნდობის, კეთილსინდისიერების, კლიენტის მითითებების შესაბამისად მოქმედების პრინციპები, ვინაიდან მხოლოდ კლიენტია ის ერთადერთი პიროვნება, ვისაც ზუსტად შეუძლია მიუთითოს კომისიას რაზე შეუთანხმდა ადვოკატს, რა იყო მისი უფლებამოსილების ფარგლები და რა ვალდებულებები არ შეასრულა ადვოკატმა.

5.4. კოლეგია განმარტავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისია ხელმძღვანელობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უფლებამონაცვლეობას საჩივრის ავტორის გარდაცვალებისას კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, როდესაც სხვა პირისათვის ხელშეუხებელი და კონფიდენციალურია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და სადავო გარემოებები შეეხება ადვოკატის მიერ ისეთი ეთიკური სტანდარტების შესაძლო დარღვევას, რაც მითითებულია გადაწყვეტილების 5.3 პუნქტში და რაზეც ინფორმაციას მხოლოდ ინფორმაციის

პირველწყარო - კლიენტი შეიძლება ფლობდეს. შესაბამისად, უფლებამონაცვლე, ვერ იქნება ის ადამიანი, ვინც ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას შეძლებს კლიენტის ნაცვლად, კლიენტის პოზიციის წარმოდგენას.

5.5. ამავდროულად, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივარი ეხება ლ. ბ.-ის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობისა და უძრავი ნივთის ნასყიდობის საკითხს. კერძოდ, თ. ტ. საჩივარში უთითებს, რომ მ. რ.-მა მოტყუებით დაადებინა ლ. ბ.-ს სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება. საპროცესო კოლეგია უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პოზიციაზე (2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე დს-შ/5-15, გვ.5), რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს, ანუ ისეთ ქცევის წესებს, რომლებიც უკავშირდება საადვოკატო საქმიანობას. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას“. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში და ვერ იმსჯელებს გამყიდველის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული საკითხი არ რეგულირდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით და არის სასამართლოს განსჯადი საკითხი. შესაბამისად, ეთიკის კომისიის კომპეტენციას არ წარმოადგენს შეაფასოს ადვოკატ-კლიენტს შორის დადებული გარიგებების ნამდვილობა, მათ შორის, გამოხატა თუ არა გარდაცვლილმა ლ. ბ.-მა ნამდვილი ნება, გააცნო თუ არა მას ნოტარიუსმა ხელშეკრულების ტექსტი და ა.შ..

5.6. საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად.“; მე-6 მუხლით, რომლის მიხედვით, „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის; აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური

გადაცდომის ჩადენის თაობაზე“ და მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვითაც, „საჩივარის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.“

5.7. საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 4 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N055/23 შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება ადვოკატ მ. რ.-ის /სიითი N/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.
4. გადაწყვეტილებას თან ერთვის კოლეგიის თავმჯდომარის - მარინე ცუცქირიძის განსხვავებული აზრი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

II დისციპლინური კოლეგიის წევრის - მარინე ცუცქირიძის

განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე, საქმე №055/23

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგების - ეთიკის კომისიის მეორე დისციპლინური კოლეგიის წევრების მიმართ, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N055/23, რომლითაც შეწყდა დისციპლინური საქმის წარმოება ადვოკატ მ. რ.-ის /სიითი N0566/ მიმართ.

წარმოგიდგენთ განსხვავებულ აზრს მოცემული საქმის სამართლებრივ შეფასებასა და შედეგთან დაკავშირებით.

2023 წლის 12 ივნისს ადვოკატ მ. რ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. ბ.-ის უფლებამონაცვლემ თ. ტ.-მ, საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა მ. რ.-მა ***,,ისარგებლა 84 წლის მოხუცებული, უსინათლო და ავადმყოფი ქალის მდგომარეობით და მოტყუებით მოაწერინა ხელი ჯერ 2019 წლის 25 თებერვალს ,,საადვოკატო ხელშეკრულებაზე", ხოლო შემდეგ 3 დღეში ე.წ ,,ნასყიდობის ხელშეკრულებაზე", რომლის შინაარსი ლ. ბ.-ისათვის უცნობი იყო",*** ასევე საჩივრის ავტორის მტკიცებით ***,,ერთი თეთრის გადაუხდელად, მოტყუებით და ავადმყოფი, უსინათლო ქალის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით მ. რამიშვილმა ხელში ჩაიგდო ლ. ბ.-ის საცხოვრებელი სახლი".***

მანამდე, კერძოდ კი, 2019 წლის 9 დეკემბერს პირადად ლ. ბ.-მა ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებების გამო საჩივრით მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, რაზეც დაიწყო საქმის წარმოება. საპროცესო ეტაპზე საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდა პირადად საჩივრის ავტორი, მან პირადად შეიტანა საჩივარი და ასევე პირადად მონაწილეობდა საპროცესო ეტაპისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებულ საქმის წარმოების ყველა ეტაპზე.

2020 წლის 28 მაისს ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით აღიძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. რ.-ის მიმართ, დევნის აღძვრა განხორციელდა ,,ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი"-ს 5(ა) მუხლით ,,ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები" და იმავე კანონის 8.1 მუხლით ,,ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას" და შესაბამისად განხილვის კოლეგიისათვის გადასაცემად საქმე გადაეცა კომისიის თავმჯდომარეს.

2021 წლის 07 აგვისტოს ლ. ბ.-ის გარდაცვალების გამო, განხილვის ეტაპზე, საქმის წარმოება შეწყდა. საქმის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველად 2021 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მითითებულია ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 9(1) მუხლის ,,ბ" პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, რომ **,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი წარდგენილია ქმედუუნარო პირის მიერ".**

მოქმედი კანონმდებლობა იმპერატიულად მიჯნავს გარდაცვლილ და ქმედუუნარო პირებს, შესაბამისად ჯერ კიდევ 2021 წლის 07 ოქტომბერს საქმის წარმოების შეწყვეტა ამ საფუძველით არასწორია, რადგან სახეზე იყო მომჩივანის გარდაცვალება და არა ქმედუუნარო პირის მიერ საჩივრის შეტანის ფაქტი. მითითებული დებულების მე-9 მუხლი განსაზღვრავს და არეგულირებს საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შემთხვევებს და არა დაწყებული წარმოების შეწყვეტის საფუძვლებს. აღიშნული მუხლი საერთოდ არ საუბრობს მომჩივანის გარდაცვალების შემთხვევაზე, შესაბამისად მომჩივანის გარდაცვალების გამო საქმის

წარმოების შეწყვეტა ამ მუხლით ყოვლად გაუმართლებელია. კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს თუ ვინ ითვლება ქმედუუნარო პირად ,,ფიზიკური პირის უუნარობა, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ქმედუუნაროდ მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნა აღიარებული. ქმედუუნაროა აგრეთვე 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი). ქმედუუნარო პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე).“ მოცემულ შემთხვევაში ქმედუნარიანი და სათანადო მომჩივანის გაიგივება ქმედუუნარო პირთან მისი გარდაცვალების გამო და ამ საფუძველით საქმის წარმოების შეწყვეტა, ცდება ყოველგვარ სამართლებრივ ჩარჩოებს და არც მოიაზრებს მსგავსი ანალოგიის დაშვების შესაძლებლობას. ზემოთ მითითებული დებულება 22-ე მუხლით განსაზღვრავს თუ როდის უნდა მოხდეს საქმის წარმოების შეწყვეტა ,,დისციპლინური წარმოების შეწყვეტა დასაშვებია თუ: ა) სადავო ქმედების ჩადენიდან ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა ბ) საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“, შესაბამისად მუხლში, რომელიც განსაზღვრავს დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შემთხვევებს საერთოდ არ არის საუბარი მომჩივანის გარდაცვალების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესაძლებლობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ არც ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი და არც ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება არ განსაზღვრავენ პირის გარდაცვალების შემთხვევაში საქმის წარმოების შემდგომი განვითარების წესს, შესაბამისად აქ ანალოგიის სახით უნდა იქნეს გამოყენებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლი ,,სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს“, რაც ყველაზე მეტად შეესაბამება არსებულ სიტუაციას, შესაბამისად ეთიკის კომისიასაც სწორედ ამ წესით უნდა ეხელმძღვანელა და უნდა შეეჩერებინა საქმის წარმოება, მანამ სანამ არ დადგინდებოდა მომჩივანს ჰყავს თუ არა უფლებამონაცვლე/მემკვიდრე. აუცილებელი იყო იმის გარკვევა უფლებამონაცვლის პრეტენზია სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე რამდენად შემოიფარგლებოდა მხოლოდ კლიენტის და ადვოკატის ურთიერთობით, თუ მისი პრეტენზია შეიძლება მოიცავდეს ისეთ ბრალდებას, რომელიც შეიძლება დადგინდეს სხვა სპეციალური მტკიცებულებებით და არ შემოიფარგლება მხოლოდ კლიენტის და ადვოკატის ურთიერთობით.

2023 წლის 12 ივნისს ადვოკატთა ასოციაციას მომართა ლ. ბ.-ის უფლებამონაცვლემ, თ. ტ.-მ, რომელმაც წარმოადგინა სამკვიდრო მოწმობა და მოითხოვა ადვოკატ მ. რ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება და ასევე მოითხოვა საჩივარს დაერთოს ლ. ბ.-ის საჩივრის საფუძველზე დაწყებული დისციპლინური დევნის სრული მასალები.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ თავისი გადაწყვეტილებით შეწყვიტა საჩივრის განხილვა იმ საფუძვლით, რომ „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ

აქვს საჩივრის წარდგენის უფლება დებულების მე-6 მუხლის თანახმად“ და დაადგინა, რომ განსახილველი საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.

რასაც ასევე არ ვეთანხმები შემდეგ გარემოებათა გამო: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი თავი განსაზღვრავს ადვოკატის პროფესიული საქმიანობის პრინციპებს, სადაც პირველივე მუხლი იწყება, რომ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა. მოცემულ შემთხვევაში გამოვყოფდი დამოუკიდებლობის პრინციპს, ,,ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს“, ასევე გამოვყოფდი კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც ,,ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა“.

საყურადღებოა, რომ მოცემულ შემთხვევაში მომჩივანის ბრალდება არის საკმაოდ მძიმე, აქ რომ იყოს პრეტენზია ისეთ საკითხზე როგორიცაა კლიენტის არაინფორმირებულობა, ნდობა ან მსგავსი ტიპის პრეტენზია, რომლის შესახებაც ინფორმაციის მიწოდება შეუძლია მხოლოდ კლიენტს და გამომდინარეობს მხოლოდ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან და შესაბამისად მემკვიდრე/უფლებამონაცვლე ამ ფაქტებს ვერ დაამტკიცებს და ვერც უარყოფს, ასეთი პრეტენზიის არსებობისას ბუნებრივია იქნებოდა სულ სხვა მოცემულობა, მაგრამ სახეზეა ისეთ გადაცდომაში ეჭვის შეტანის საფუძველი როგორიცაა არაკეთილსინდისიერება და პირადი ინტერესების უპირატესად დაყენება, სწორედ ამ საფუძვლებით მოხდა საქმის აღძვრა და სწორედ ამის შესასწავლად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცა საქმე ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიას, საჩივარში საუბარია ადვოკატის არაკეთილსინდისიერებაზე, ადვოკატის პირადი ინტერესების კლიენტის ინტერესებზე უფრო მაღლა დაყენებაზე, ინტერესთა კონფლიქტზე, დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევაზე.

მოცემულ შემთხვევაში გასამიჯნია ორი შემთხვევა. პირველი: თუ კლიენტი სიცოცხლეში არ ედავება ადვოკატს და საჩივარს არ შეიტანს ადვოკატის წინააღმდეგ, ასეთ შემთხვევაში მემკვიდრის/უფლებამონაცვლის მხრიდან კლიენტის გარდაცვალების შემდეგ რა სახის გადაცდომაზეც არ უნდა იყოს მითითებული, კლიენტის მემკვიდრის მხრიდან, ბუნებრივია მემკვიდრე ვერ დაიწყებს დავას ადვოკატის წინააღმდეგ, რადგან პრეტენზია ადვოკატის მიმართ არ განუცხადებია კლიენტს.

მაგრამ სახეზეა მეორე შემთხვევა: როდესაც კლიენტი სიცოცხლეში ედავებოდა ადვოკატს, წერილობით და ზეპირად არაერთხელ დააფიქსირა თავისი პრეტენზია, შესაბამისად ამ საჩივრის საფუძველზე ეთიკის საპროცესო კოლეგიამ გადაწყვიტა, რომ ადვოკატმა სავარაუდოდ დაარღვია კეთილსინდისიერების, დამოუკიდებლობის, ინტერესთა კონფლიქტის და კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის პრინციპები და რაზეც აღიძრა კიდეც დევნა, ე. ი. კლიენტმა ჯერ კიდევ სიცოცხლეში კანონით დადგენილ ვადაში და წესით

შეიტანა საჩივარი ადვოკატის წინააღმდეგ და ითხოვდა მ. რ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, მაგრამ საქმის მსვლელობის დროს გარდაიცვალა.

მოცემულ შემთხვევაში უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ლ. ბ.-მა ადვოკატ მ. რ.-ს მიმართა 2019 წლის 25 თებერვალს, მხარეთა შორის გაფორმდა მომსახურეობის ხელშეკრულება, რითაც ადვოკატს უნდა განეხორციელებია საადვოკატო მომსახურეობა და ჰონორარის სახით მიეღო გარკვეული თანხა. შემდეგ, როგორც ამას მომჩივანი მხარე განმარტავს, სულ რაღაც 3 დღეში 2019 წლის 28 თებერვალს ხდება კლიენტის ერთადერთი საცხოვრებელი სახლის ადვოკატის სახელზე გადაფორმება. რაც სცილდება მხოლოდ ადვოკატის და კლიენტს შორის ურთიერთობას, შესაბამისად ამ დავაში და ამ ბრალდებებში ჩართვის უფლება მემკვიდრეს/უფლებამონაცვლესაც გააჩნია, რადგან ბრალდება თავის თავში მოიცავს ისეთ ფაქტებს რაც შეიძლება დადასტურდეს არა მხოლოდ მომჩივანის (კლიენტის) ახსნა-განმარტებით, არამედ სხვა მეტად რელევანტური მტკიცებულებებით. ის გადაცდომები რაზეც კეთდება აქცენტები არ შეიძლება მოექცეს მხოლოდ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში. სწორედ პრეტენზიის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს საქმის საფუძვლიანად შესწავლა და იმის გამორკვევა რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი კეთილსინდისიერების, დამოუკიდებლობის, ინტერესთა კონფლიქტის და კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის პრინციპების დარღვევას. მსგავსი გადაცდომების გამოვლენისათვის არ არის აუცილებელი მხოლოდ კლიენტის ახსნა-განმარტება (რომელიც საქმეში მოიპოვება), აქ მეტად მნიშვნელოვანია სხვა სპეციალური მტკიცებულებები, რომლის წარმოდგენისთვის არ არის აუცილებელი მაინცდამაინც პირადად კლიენტის მონაწილეობა. შესაბამისად თუ იქნებოდა წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება ეთიკის კომისია შეძლებდა ემსჯელა და შემდეგ სათანადოდ შეეფასებინა ადგილი ჰქონდა თუ არა მითითებულ გადაცდომებს, მაგრამ მოცემულ ეტაპზე საჭირო იყო დამატებითი მტკიცებულებები, რომლებიც კიდევ უფრო სრულყოფილად დაგვანახებდა შექმნილ სურათს, შესაბამისად უნდა მომხდარიყო მომჩივანის უფლებამონაცვლის სათანადო/უფლებამოსილ განმცხადებლად მიჩნევა, სწორედ პრეტენზიის სპეციფიკიდან გამომდინარე და საქმე უნდა შეჩერებულიყო მანამ სანამ საქმეზე არ გამოვიდოდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან მხარეთა შორის საჩივარში მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით პარალელურად მიმდინარეობს სამოქალაქო დავა, სწორედ აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება ეთიკის კომისიას დაეხმარებოდა სრულყოფილად საკითხის შესწავლაში, კერძოდ ჰქონდა თუ არა ადგილი ადვოკატის ქმედებაში იმ გადაცდომებს, რაზეც უთითებს მომჩივანი და რაც სავარაუდოდ მიიჩნია ეთიკის კომისიამ საქმეზე აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. უნდა განხორციელებულიყო ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 21-ე მუხლის შესაბამისად საქმის წარმოების შეჩერება ,,დისციპლინურ კოლეგიას დისკრეციული უფლება აქვს შეაჩეროს დისციპლინური წარმოება იმ შემთხვევაში, თუ: ა) დისციპლინური საქმის შესწავლის პერიოდში დისციპლინური კოლეგიისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა ობიექტური გარემოებები (ადვოკატის ავადმყოფობა, მტკიცებულებების შეგროვებისთვის საჭირო დრო და სხვა), რის გამოც შეუძლებელია დისციპლინური წარმოების გაგრძელება“, მანამ სანამ სრულყოფილად არ მოხდებოდა საქმეზე მტკიცებულებების შეგროვება და მხოლოდ მას შემდეგ მომხდარიყო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. საკითხის განხილვის

დროს ყველაზე მეტად საყურადღებოა ის პრინციპი, რომ ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ განახორციელოს მოქმედება, რითაც შესაძლებელია ავნოს როგორც კლიენტის, ისე პროფესიის პრესტიჟს. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი ადვოკატის ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო პრინციპია, ვინაიდან ადვოკატი, როგორც კლიენტის საუკეთესო ინტერესების დამცველი, კლიენტის ინტერესებს პირად და სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა აყენებდეს. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი იმთავითვე გულისხმობს ადვოკატის მოქმედებას კლიენტის ნებისა და მასთან შეთანხმების გათვალისწინებით. პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ადვოკატის ვალდებულებაა, იზრუნოს პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ადვოკატის პირად თვისებებზე – ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და მიუკერძოებლობა არის დაფუძნებული. ადვოკატთა კეთილსინდისიერება და კვალიფიციურობა აუცილებელი პირობაა ადვოკატთა პროფესიისადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის. აქედან გამომდინარე ყველა საჩივარი უნდა იქნეს განხილული სწორედ ამ სტანდარტებიდან გამომდინარე და გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სწორედ ამ პრინციპების უპირატესი გათვალისწინებით.

შესაბამისად, ვერ დავეთანხმები კოლეგიის წევრების გადაწყვეტილებას, რომ დისციპლინურ საქმეზე №055/23 უნდა შეწყდეს იმ საფუძველით რაც მითითებულია გადაწყვეტილებაში.

პატივისცემით,

მარინე ცუცქირიძე

ეთიკის კოლეგიის წევრი